№ h43.
№6.




რემედასის საქ. ტფილისის კომიტეტის ერთდროული გამოცემა
**ЕДИНОВРЕМЕННОЕ ИЗДАНИЕ ТИФ. КОМ. МОПР'а ГРУЗИИ**

# ტერორი კაპიტალისტურ ქვეყნებში

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი: პირველ აგვისტოს მოწყობილ დემონსტრაციასთან დაკავშირებით საპყრობილე „ს ა ნ ტ ე“-ში დაპატიმრებულ 80 კაცის განთავისუფლების შემდეგ — საპატიმროში დარჩა კომუნისტური პარტიის აქტიური ხელმძღვანელი და კერძოთ კი — ცეკას ყველა წევრები.



**ბაგატსინგი და დატი**

ბრალი ედებათ ინგლის-ინდოეთის კანონმდებლობითი კრებისთვის ბომბების სროლაში, რისთვისაც ისინი დაპატიმრებულნი არიან

მთელს საფრანგეთში, სასამართლოებს გამოაქვთ განაჩენები პირველ აგვისტოს დემონსტრაციებში მონაწილეთა საქმის შესახებ. პარიზში, გამასწორებელმა სასამართლომ 12 მუშის საქმეზე განაჩენი გამოიტანა, თითეულ მათგანს მიესაჯა 4 დღიდან 4 თვემდე პატიმრობა და 25-დან 100 ფრანკამდე ჯარიმა. ნიმში სამ დემონსტრანტს მიუსაჯეს 8-დან 25 დღემდე პატიმრობა და 16 ფრანკი ჯარიმა. ბულონ-სიურ-მერში 3 მუშას მიესაჯა ხუთ-ხუთი თვე პატიმრობა თვითეულს. ლიონში კომპარტიის რაიონულ კომიტეტის მდივანი 20 დღით დააპატიმრეს. კურბეუში (სენის დეპარტამენტი) სამხედრო პირთა შეურაცხყოფისათვის დააპატიმრეს 6 მუშა. პროფკავშირების მდივანს ტრუაკიუნსა და პლანსონში მიუსაჯეს 13 თვე პატიმრობა. მუშა ქალს, სამი მცირე წლოვანი ბავშის დედას პოლიციელთა „შ ე უ რ ა ც ყ ო ფ ი ს ა თ ვ ი ს“ მიესაჯა 3 თვე პატიმრობა.

— უკანასკნელ ხანებში დაპატიმრებული კომუნისტები და სისხლის სამართლის დამნაშავეები ერთსადა იმავე პირობებში იმყოფებიან.

— პირველ აგვისტოს წინა დღეებში დაპატიმრებული, 75 წლის ღრმა მოხუცებული, პარიზის კომუნის მონაწილე იპოლიტ ნოელ დღემდის საპყრობილე „ს ა ნ ტ ე“-ში ზის.

— პარიზის სააპელაციო სასამართლომ დაამტკიცა 29 მაისს ამხ. დორიოს შესახებ გამოტანილი განაჩენი. ის გასამართლებული იქნა, როგორც საფრანგეთის კომპარტიის გაზეთ „ა ვ ა ნ გ ა რ დ ი ს“ პასუხიმგებელი რედაქტორი. ამხ. დორიოს ორ საქმეზე მიესაჯა 1 და 2 წელი პატიმრობა, ამავე დროს ის პირველ საქმეზე დაჯარიმებული 1000, ხოლო მეორე კი — 3000 ფრანკით.

ლ ი ტ ვ ა: კოვნოს სამხედრო კომენდანტმა პირველ აგვისტოს დემონსტრაციის 34 მონაწილე დააჯარიმა 3000 ლიტით, რომელიც შემდეგ შეეცვალა თითეულ მათგანს 2 კვირის ვადით საპყრობილეში მოთავსებით. ორი სტუდენტი, ფაიგელზონი და ბანდი მუშათა წრეებში საპირველაგვისტო მოწოდების გავრცელებისათვის გადაეცა სამხედრო სასამართლოს. შანცაში სამხედრო სასამართლოს განკარგულებაში გადაცემულნი არიან სტუდენტები: მელნერ და კლიაინი, ამათ ბრალი ედებათ პირველ აგვისტოს წითელი დროშის ტადებისათვის.

— კოვნოს გარეუბნებში წინა დღით და პირველ აგვისტოს საღამოთი ადგილი ჰქონდა ანტისემიტურ მოძრაობას, რომელიც დასრულდა ებრაელთა ოჯახების დარბევაწიოკებით. პოლიციელები სრულ პასივობას იჩენდენ შეიარაღებულ ფაშისტების მიმართ, რომლებიც ქუჩებში აჩერებდენ გამვლელ-გამოვლელებს, უშინჯავდენ პირადობის მოწმობებს მათი ეროვნების გამოსარკვევად, ყველა ებრაელებს სცემდენ სასტიკად და შეუბრალებლათ, ეს გამხეცებული ბანდები არ ინდობდნ არც 70 წ. ღრმა მოხუცებულებს, არც ბავშებს.

ს ა მ ხ რ ე თ-ს ლ ა ვ ი ა: აგვისტოს 11 შეიპყრეს არალეგალურად მომუშავე კომუნისტი ამხ. ფინჩი, რომელიც გადმოხტა სარაევის საპატიმროს სარკმლიდან და სასიკვდილოთ დაშავდა. ავსტრიის მუშათა პრესის რწმუნებით ფინჩი გადმოაგდეს პოლიციელებმა.

ბ უ ლ გ ა რ ე თ ი: პირველ აგვისტოს წინა დღეებში დაპატიმრებულთაგან 27 კაცი გადაეცა სოფიის სამხედრო სასამართლოს, „ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს უ შ ი შ რ ო ე ბ ი ს“ წინააღმდეგ გალაშქრებისათვის.



**ცერგიბელი,** სოციალ-დემოკრატი, ბერლინის პოლიციის უფროსი, რომლის ხელმძღვანელობით პოლიცია თავს ესხმის მუშათა დემონსტრაციებს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

~~სექტემბერი~~
~~СЕНТЯБРЬ~~
1929

# რემედას

რემედასის საქ. ტფ. კომიტ. ერთდროული გამოცემა
Единовременное издание Т. К. МОПР'а Грузии.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, კომინტერნის ქ. №5, II-რე სართ.
—
∞ ტელ. 17 42. ∞

## პირველი აგვისტოს შედეგები

იმპერიალისტური ქვეყნების მიერ წარმოებული ანტისაბჭოთა ომის სამზადისი და მისგან გამოწვეული რეალური საფრთხე თავის დროზე იქნა გათვალისწინებული კომუნისტური ინტერნაციონალის მიერ. საერთაშორისო წითელი დღის ჩასატარებლად მთელი ქვეყნის მუშათა კლასისადმი მიმართული მოწოდებით კომინტერნმა მიზნად დაისახა პროლეტარული მასების მობილიზაცია, ამ ომის საფრთხის წინააღმდეგ; მის იმზანს შეადგენდა აგრეთვე გამოერკვია, თუ რამდენად მზად იყო საერთაშორისო პროლეტარიატი ამ ომის საფრთხის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მისაღებათ.

ომის წინააღმდეგ მებრძოლ ძალთა დათვალიერება ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა მთელს მსოფლიოში. რევოლიუციონურმა მუშათა კლასმა მსოფლიოში უდიდესი დემონსტრაცია მოაწყო და თვალსაჩინოდ გამოააშკარავა ბურჟუაზიის ბნელი ზრახვები. პროლეტარიატმა დაამტკიცა, რომ ის მზად არის შეურყევლად ეკვეთოს საბჭოთა კავშირისადმი მიმართულ საომარ ავანტიურას. მან ნათლად გაითვალისწინა ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ საბჭოთა კავშირზე თავდასხმა, ეს იმავე დროს თავდასხმაა მსოფლიო მუშათა კლასსზე, მსოფლიო პროლეტარიატზე. საერთაშორისო მუშათა მილიონიანი მასებისათვის აშკარა გახდა ის ფაქტი, რომ ეს ავანტიურა გადაიქცევა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახებათ.

პირველ აგვისტოს ამოძრავდენ და იარაღი შეისხეს ყველა ბურჟუაზიული ქვეყნების მთავრობებმა. ბურჟუაზიის ყურმოჭრილი, ვიგინდარა აგენტები, ყველა ჯურის სოციალ-დემოკრატები შეთანხმებით და ერთხმად მხარს უჭერდენ თავიანთ ქვეყნების მთავრობების რეპრესიულ ზომებს, რომელსაც ისინი მიმართავდენ მუშათა კლასის წინააღმდეგ.

ამ მხრივ პირველობა საფრანგეთს, მის ბურჟუაზიასა და შინაგან საქმეთა მინისტრს — ტარდიეს უნდა მივაკუთვნოთ.

რევოლიუციონური მუშათა კლასის გამოსვლის მოლოდინში საფრანგეთის ბურჟუაზიამ მობილიზაცია გაუკეთა ყველა თვაის სამხედრო და პოლიციის ძალებს, და კომპარტიისა და რევოლიუციონურ პროფკავშირების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდა თავის კლასობრივ იუსტიციასა, სასამართლოებს. ამ უხეშ და ტლანქ, რეაქციონურ ძალების მიერ დარბეული იქნა, ისეთი წმინდა მუშური ორგანიზაციები, როგორიცაა რ ე მ ე დ ა ს ი და მ ე უ რ ა ბ პ ო მ ი. საფრანგეთის ბურჟუაზიამ „მშვიდობიანობის“ შესანარჩუნებლად წინასწარ ჩაატარა დაპატიმრებები, საპყრობილე „ს ა ნ ტ ე“-ში ჩაჭყარა კომუნისტური პარტიის ყველა აქტიური წევრები, კერძოთ კი—ცენტრალური კომიტეტის მთელი შემადგენლობა. ყველა კომუნისტურ გაზეთებს კონფისკაცია უყვეს, პარიზის ყველა მუშური უბნები გაავსეს ჟანდარმებით, პოლიციის აგენტებით და ჯარისკაცებით.

მიუხედავად იმისა, რომ მშრომელ მასების ხელმძღვანელი ბედები საპყრობილეში ჩაჭყარეს, პარიზისა და მთელ რიგ სხვა სამრეწველო ცენტრების მუშათა კლასი მთელი სამუაშო დღის განმავლობაში გაფიცული იყო, ნაწილი კი დემონსტრაციებს ახდენდა ქუჩებში.

პოლონეთის პროლეტარიატმა, ახალი საერთაშორისო ომისადმი ზიზღის უძლიერესი დემონსტრაცია მოაწყო პირველ აგვისტოს. პოლონეთის მუშათა კლასმა აშკარად დაამტკიცა, რომ ის მზად არის მტკიცედ და ერთსულოვნად ეკვეთოს საერთაშორისო იმპერიალიზმის ყოველგვარ ზრახვებს, რომელიც ააშკარავებს საბჭოთა კავშირზე — ამ ერთად-ერთ პროლეტარულ სამშობლოზე თავდასხმის გაძლიერებულ სამზადისს.






ვინ მისცა ხმა ომის პოლიტიკას 1914 წელში

პოლონეთის ფაშისტურმა მთავრობამ არ დააყოვნა და მობილიზაცია გაუკეთა მთელ თავის ცოცხალ ძალას, ჯარს, პოლიციას და ჟანდარმერიას, რომლებიც მზად არიან დაიცვან „წითელი საფრთხისაგან“ კაპიტალისტური წყობილება; ამ მიზნით პოლონეთის პანების მთავრობამ დახმარებისათვის მიმართა პეპესოველებს, რომლებმაც დიდი ხანია უკვე, რაც ბურჟუაზიას მიყიდეს პოლონეთის მუშათა კლასის საარსებო ინტერესები.

მიუხედავათ ყოველივე ამისა, პირველ აგვისტოს ვარშავის ქუჩებში მთელი დღის განმავლობაში მწყობრად და მტკიცედ მიემართებოდენ მუშათა რიგები, რომელიც სამუშაო დღის დამთავრებისას უძლიერეს დემონსტრაციად გადაიქცა.

გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა ვერ გაბედეს აშკარად აეკრძალათ ომის წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაცია, მათ სულ სხვა გაიძვერულ ზომებს მიმართეს: პირველ აგვისტოსათვის იმათაც დანიშნეს თავიანთი, ომის საწინააღმდეგო, დემონსტრაცია, ბურჟუაზიული სამშობლოს თავდაცვის ლოზუნგის ქვეშ. ამ ფანდების მიზანი იყო, წაერთმიათ კომპარტიის ანტიიმპერიალისტური და ომის საწინააღმდეგო ლოზუნგებისათვის ნამდვლი რევოლუციონური შინაარსი და სულისკვეთება. გერმანიის მუშათა კლასს, რევოლიუციონურ პროლეტარიატს არ გამოპარვია ეს გარემოება და ამ გამცემლურ გამოსვლებს უპასუხა უაღრესად მტკიცედ შეკავშირებით, გრანდიოზულ მანიფესტაციებით და ომის საწინააღმდეგო გამოსვლებით ყველა სამრეწველო ცენტრებში. ამ გამოსვლებში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა 150 ათასიანი პროლეტარული მასა.

არა ნაკლები ძლიერი დემონსტრაციები ჩაატარეს გერმანიის სხვა ადგილებშიაც, რასაც შედეგად მოჰყვა ჰამბურგსა და ფრანკფურტში პოლიციელების მიერ დემონსტრანტების დარბევა-აწიოკება.

ინგლისსა და შეერთებულ შტატებში, სადაც სოციალ-დემოკრატებისა და რეფორმისტ-გამცემლების გავლენა ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია, მოეწყო რევოლიუციონურ მუშათა ანტიმილიტარისტული დემონსტრაციები.

ინგლისსა და შეერთებულ შტატებში მთელ რიგ მუშურ და სამრეწველო ცინტრებში მოეწყო დემონსტრაციები ჩირაღდნებით. აქვე მოეწყო მიტინგები, რომლებიც ბრწყინვალედ იქნა ჩატარებული მიუხედავათ პოლიციელების მიერ აკრძალვისა და მკაცრი რეპრესიები.

სამხრეთ-ამერიკაში ჰოლანდიაში, დანიაში, შვეიცარიაში, შვეციასა და სხვ. სახელმწიფოებში მოეწყო მშრომელთა, უდიდესი ანტიმპერილისტური დემონსტრაცია საბჭოთა კავშირის დასაცავად.

მუშათა კლასის ძლიერი სულიერ განწყობილებაზე, რევოლიუციონურ აღტკინებაზე, და ახალი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ შებრძოლების მტკიცე გადაწყვეტილებაზე ვერავითარი გავლენა ვერ იქონია პოლიციის მიერ დამკვიდრებულმა რეპრესიულმა ზომებმა.

პირველ აგვისტოს ამბებმა გამოააშკარავა კიდევ ერთი უმთავრესი რამ მომავალ კლასობრივ ბრძოლების სვე-ბედის ნათელსყოფად, რაც მომაკვდინებელია იმ ბურჟუაზიული კლასებისათვის, რომლებმაც ყოველგვარი ძალღონე მოახმარეს „თავიანთ“ ჯარისკაცების წასისიანებას მშრომელ მასებზე. მიუხედავად ამისა პირველ აგვისტოს ამბებმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ბურჟუაზიის იმედებს. ბურჟუაზია დარწმუნებული იყო ჯარის მისდამი შეურყეველ ერთგულებაში, მაგრამ ამოთ — სინამდვილემ პირიქით დაამტკიცა.

საფრანგეთის მთავრობამ ვერ გაბედა პირველ აგვისტოს მუშების „დასამშვიდებლად“ ჯარის ნაწილების გაგზავნა. ამ მიზნისათვის მან მხოლოდ პოლიცია და ჟანდარმერია გამოიყენა. როცა ამ უკანასკნელებმა ვერ მოახერხეს რევოლიუციონურ მუშათა მასების „დაშოშმინება“ ხელისუფლებამ მისაშველებლად ცხენოსანი ჯარი გაგზავნა, მაგრამ დახეთ საკვირველებას, ხშირ შემთხვევებში ჯარსა და მუშებს შორის ადგილი ჰქონდა დაძმობილებას.

სკანდინავიის სახელმწიფოებში მუშებისაგან ჯარისკაცების განცალკევების მიზნით, ეს უკანასკნელნი ყაზარმებში გამოჰკეტეს ინგლისში კი ჯარისკაცები მუშებთან ერთად დემონსტრაციაში გამოვიდენ და ზიზღი გამოუცხადეს მოახლოვებულ ახალ ომს.

ასეთია დაახლოვებით პირველ აგვისტოს ბურჟუაზიულ ქვეყნებში მომხდარი ამბები.

თეთრი ტერორის თარეში, გამძაფრებული კლასობრივი იუსტიცია, გაშმაგებულ პოლიციელთა რეპრესიული ზომები: ყველაფერი ეს, არის ლოღიკური შედეგები იმ მღელვარების, იმ საერთაშორისო შეკავშირებისა და ერთსულოვნებისა, რომელიც გამოიჩინეს მთელი ქვეყნის რევოლიუციონურმა მუშებმა პირველ აგვისტოს. “წითელი საფრთხით“ შეშინებული ბურჟუაზია შურს ძიობს.



თანამედროვე ფაშიზმის სახე

ამ ამბებთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს, გახრწნილი გომინდანის ღენერლებისა და თეთრი ბანდების ნარჩენების მიერ მოწყობილი, შეკავშირებული თავდასხმა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე, ის პროვოკაციული შემოტევები და გომინდა-აპარატით თავს დაესხა რევოლიუციონურ მუშათა კლასის ორგანიზაციებს, მემარცხენე პროფკავშირებსა და კომუნისტურ პარტიას. ნელ ჯალათების თავგასულობა, რომელიც დღემდის გრძელდება აღმოსავლეთის საზღვარზე. ამ ბანდებს, რომლებმაც ხელები დაიბანეს ჩინეთის მუშათა კლასის სისხლში აქეზებს საერთაშორისო ბურჟუაზია.

დღევანდელი, მწვავე კლასობრივი ბრძოლა, ს. ს. რ. კავშირისადმი საერთაშორისო კაპიტალის მიერ გამომჟღავნებული ზიზღი და მტრობა — რის შესახებაც შესაფერისი დასკვნები გამოიტანა მსოფლიო რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა პირველ აგვისტოს ამბების შემდეგ, ჩვენს წინაშე გადაუდებელ ამოცანად აყენებს საერთაშორისო მუშათა კლასისა და გლეხობის ერთსულოვნებისა და ინტერნაციონალურად აღზრდის საკითხებს.



ამერიკელების ტანკი

ამხანაგებო, რემედასელებო — ჩვენ შეურყევლად გვჯერა, რომ რევოლიუციონური მუშათა კლასის ინტერესების სწორად გაგებით, კომუნისტური ინტერნაციონალის მიერ ნაჩვენები გზით, ჩვენ ჩქარა მივაღწევთ საბოლოო გამარჯვებას, ავაფრიალებთ სოციალისტური რევოლიუციის წითელ დროშას კაპიტალისტურ სამყაროს ნანგრევებზე და დავამკვიდრებთ კომუნიზმს.

# ИТОГИ ПЕРВОГО АВГУСТА

Реальная угроза империалистической и антисоветской войны своевременно и правильно была понята и учтена Коминтерном. Призвав трудящихся всего мира к проведению Международного Красного дня, Коминтерн поставил себе задачу мобилизации пролетариата против этой угрозы войны и проверки готовности его к активной борьбе против военной опасности и в защиту СССР.



მსოფლიო პროლეტარიატი ილაშქრებს ომის წინააღმდეგ.

Смотр антивоенных сил трудящихся увенчался блестящим успехом. Революционные рабочие во всем мире мощно продемонстрировали свою твердую решимость бороться с военными авантюрами, ясно поняв ту непреложную истину, что нападение на Советский Союз — это нападение, в то же время, на международный пролетариат, это — схватка мировой буржуазии с ненавистным ей рабочим классом.

К первому августа ощетинились все правительства буржуазных государств. Верные адепты, агенты буржуазии, социал-демократы всех оттенков и мастей, дружным хором поддерживали и одобряли репрессивные мероприятия своих правительств против рабочего класса.

Пальму первенства в этом отношении надо отдать Франции, французской буржуазии и ее верному, предачному лакею—министру внутренних дел Тардье.

В ожидании выступления революционных рабочих, французская буржуазия мобилизовала все военные и полицейские силы и призвала к борьбе с компартией и революционными профсоюзами свой классовый суд, свою классовую юстицию. Разгрома не избегли и такие организации, как МОПР и Межрабпом. Были произведены многочисленные аресты, в тюрьму Сантэ были брошены все руководящие члены компартии и—в частности, члены ЦК. Все коммунистические газеты были конфискованы. Рабочие кварталы Парижа были наводнены жандармами, полицейскими и войсками.

И несмотря на то, что вожди накануне были брошены в тюрьмы, пролетариат, трудмассы Парижа и ряда других промышленных центров, частью бастовали весь рабочий день, частью демонстрировали на улице.

Польский пролетариат в день первого августа мощно демонстрировал свою ненависть к войне, свою сильную решимость бороться с намерением мирового империализма напасть на Советский Союз, ненавистного ему отечества всех трудящихся мира.

Польское фашистское правительство неза медлило мобилизовать полицию, армию, все силы, готовые защищать капиталистический строй, призвав на помощь в первую очередь боевые дружины ППС, предавшей давно интересы польского пролетариата,

Несмотря на все это, демострации в Варшаве шли целый день, с особенной же силой развернулись по окончании работ на фабриках и заводах.

Германские социал-демократы, возглавляющие правительство Германии, не решились открыто воспретить демонстрации против войны, но одновременно прибегли к шулерской мере: на первое августа они назначили и свою демонстрацию против войны, под лозунгом обороны буржуазного отечества. Цель этого маневра—вырвать из антиимпириалистических, антивоенных лозунгов компартии их действительное революционное содержание, — прекрасно была понята берлинским пролетариатом, который на эту предательскую вылазку ответил грандиозной антивоенной манифестацией. В ней приняло участие свыше 150.000 человек.

Не менее мощные демонстрации состоялись и в других промышленных городах Германии. В Гамбурге и во Франкфурте демонстрации были обстреляны полицией.

В Англии и Соединенных Штатах, где влияние реформистов и социал-предателей — вождей профсоюзов, очень сильно, всетаки состоялись внушительные антивоенные демонстрации революционных рабочих.

В ряде рабочих, промышленных центров Англии и Соед. Штатов были организованы факельные шествия и митинги, несмотря на меры принятые полицией.

В государствах Южной Америки, в Голландии, Дании, Швейцарии, Швеции и т. д. состоялись антивоенные демонстрации трудящихся, манифестации в защиту Советского Союза.

На настроение рабочих масс, глубоко революционное, на решимость их бороться против новых империалистических войн, полицейские репрессии, угрозы социал-фашистов не оказали ни малейшего влияния.

События первого августа обнаружили еще одно, важное в грядущих классовых боях, обстоятельство, убийственное для буржуазных классов, для капиталистического мира, который сделал все возможное, чтобы натравить солдат „своих" армий на своего классового врага—пролетариат. Однако, события первого августа нанесли жестокий удар надеждам буржуазии, ея вере в преданность „своей" армии...

Французское правительство не осмелилось послать солдат на усмирение рабочих в день первого августа, использовав для этого силы лишь полиции и жандармерии. Послав же в критические моменты части кавалерии—буржуазия была ввергнута в ужас случаями братания кавалеристов с демонстрирующими рабочими.

В государствах Скандинавии, в целях изоляции от рабочих, солдаты были заперты в казармах, а в Англии солдаты демонстрировали против войны совместно с рабочимы...

Разгул белого террора, ожесточение классовой юстиции, усиление полицейских репрессий—все это логическое и естественное последствие того внушительного протеста, той международной спайки, солидарности, которую выявыли революционные рабочие всего мира в день первого августа. Напуганная „коммунистической опасностью" буржуазия всем своим аппаратом власти обрушилась на революционные рабочие организации, на левые профсоюзы, на компартию.

В связи с этими событиями, нельзя не отметить бандитское нападение зарвавшихся гоминдановских генералов вкупе с белогвардейскими бандитами на КВЖД и до сих пор длящиеся провокационные акты гоминдановских заправил, науськиваемых на СССР мировым империализмом.

В переживаемый период острого обострения классовых противоречий, яркого выявления классовой ненависти всего капиталистического мира к СССР,—перед МОПР-ом, — организацией, которая сделала надлежащие выводы из событий 1-го августа, — с особенной силой вновь стоит вопрос об усилении своей работы в области интернационально-революционного воспитания и спайки трудящихся всего мира, продолжения с неослабной энергией пропаганды против войны и в защиту СССР.

Товарищи Мопровцы! Мы непоколебимо верим, что, правильно понимая интересы революционного рабочего класса, по пути Коминтерна — трудящиеся и угнетенные всего мира скоро придут к верной победе—к торжеству коммунизма.

Ш. С.






I.

ზაფხულის სიცხეებმა ველ-მინდორში ბალახი გააყვითლა, გაახმო და გააფხვიერა საყანე მიწები, შეტრუსა სიმინდი, პური. დილა რომ დგებოდა ლურჯ ცას ბრჭყვიალა შუბლის ქინძისთავივით ეკვრა ხოლმე მზე და ჰფანტავდა მხურვალე ალმასებს.

სოფლები იღვიძებენ ძაღლების ყეფით, ურმების ჭრიალით და ერთფეროვანი უფერული ცხოვრებით; — რიჟრაჟიდან დაწყებული შრომა, თანაც სადილი, სამხარი და ისევ ყრუ ხმაურით დაბინდებისას ქოხში დაბრუნება, მოქანცულობა, ძილი.

არაფერი ახალი. არაფერი მნიშვნელოვანი. მამასახლისი მათრახით ხელში და ყელზე ჯინჯილით, ხან ბეგარაზე მიათრევს გლეხს. ხან კიდევ სალაყბოზე ჩაივლის, კითხვის ნიშანივით გაჩერდება, მარჯვენა ხელში მათრახს დაატრიალებს და მიაძახებს გლეხებს:

— ავაზაკებო, შეკრებილხართ?!. თანაც მათრახს დახედავს, აფრთხილებს თავხედობაში შენიშნულ ბიჭებს, და მიდის თავის გზით.

ამ ზაფხულში ივლისის თვე მეტად მხურვალე დადგა. მრავალი გლეხი აატირა გადამწვარმა პურმა, აავალალა ზამთრისათვის სარჩო-საბადებლს მოკლებული გლეხობა.

და ამ ივლისის თვეში ყუმბარასავით გავარდა ახალი ამბავი:

— ომი!.. ომი!..

— ომი გერმანიასთან!..

გამოაცოცხლა ჩამკვდარი სოფელი ამ ამბავმა და ყველას გულის ყური წარიმართა ომის საშინელებისაკენ.

სალაყბოებზე არაფერი არა ჰქონიათ სალაპარაკო გარდა იმისა, რომ გერმანელები მხეცებივით იბრძვიან, რომ ისინი უზარმაზარი ზარბაზნებით გვეომებიან და რომ მათ ვერავინ ვერ დაამარცხებს. იკრიბებოდენ ასე ყოველკვირა და იმ ვარამთან ერთად რომ ამ შემოდგომაზე ჭირნაახული ვერ ავსებდა მათ ბეღლებს, ელოდენ სისხლის ღვრასსაც.

გავარდა ფრონტზე პირველი გულა.
პირველი ყუმბარა.

აკვნესდა პირველი დაჭრილი
და დახუჭა თვალი პირველმა მსხვერპლმა.

გამოცხადდა ჯარში გაწვევა. ბრძანებები გააკრეს ყველგან, სადაც კი ადამიანის თვალი მისწვდებოდა.

სოფელ ბარეთიდანაც გაიწვიეს ახალგაზრდობა. ზანტი კი არა, სულ რჩეული ბიჭებით გარჯაში, შრომის მოყვარეობაში. სოფლის თვალნი იყვნენ ისინი, სწორგულობაში ნაქებნი, ტანად და თვალად საამო შესახედავნი.

აი, დათია ვის არ უყვარს ის. ვინ არ უსმენს ხოლმე მის ლაპარაკს გლეხკაცის ჭირსა და ვარამზე, სოფლის ყოფასა და ცხოვრებაზე, მამასახლისის უსამართლობაზე;— მოხუციც, ახალგაზრდაც, ქალიც და ბავშიც, ეხლა კი მიატოვა მან თავისი საყვარელი ნამგალი, ბარი, თოხი, მისი ოფლით განბანილი რომ არს და ჯარში უნდა წავიდეს, სასალდათოდ გაწვეულია.

— დათია, თავს გაუფრთხილდი...

— დათია, ოჯახისას ნუ ინაღვლებ, სოფელი წავეშველებით. ეუბნებოდენ გლეხები და აიმედბდნენ უმარჯვენოთ დატოვბულ ოჯახს — მოხუც დედ-მამას, პატარა და-ძმას.

და დათიაც მხნევდებოდა, ფოლადის გული უკაჟდებოდა, უმტკიცდებოდა, ემზადებოდა გასამგზავრებლად.

II.

გათენდა კვირა დილა. ზაფხულის მიწურულის ნიავქრიანი გრილი დილა, როდესაც შრიალებს ტყე, ირხევა ბაღში ნაყოფით დამძიმებული რტოები, როდესაც უკანასკნელი ფოთლები აჭკნება ყვავილოვან მცენარეებს, ბუჩქებს. ხვალ კი, ორშაბათს სოფელი ბარეთი ომში ისტუმრებს ახალგაზრდობის პირველ წყებას.


1914 — 18 წლის „გმირები“

და ამ კვირა დღეს სოფლის მოედანზე დილიდანვე შეიყარა თავი გლეხობამ. ისინი მორთული არიან ახალ ტანსაცმელებში, სუფთად, ლაზათიანად, სახრით ხელში და ნაბდის ქუდებ კეფაზე ლაკრულნი. ცისფერ თუ წითელ ხალათებს ქვეშ მოუჩანთ ჭრელი პერანგები და გაღეღილ მკერდზე კი ხშირი შავი ბანჯგვლები.



ფრონტი ბრძოლის დროს

საიდანღაც შემწვარი სიმინდისა და ახლად ჩაკრული თორნის პურების სუნი მოვიდა. დაიბნდა ყველა, დიდიც და პატარაც. აღუძრა მადა შეგროვილებს.

აი, ვიღაცამ გამოიტანა დოლი და სალამური. მარჯვე ხელი ათამაშებდა დოლის გადაჭიმულ ზედაპირზე და ლეკური გახურდა. აჰყვა სალამური სტვენით. მისი ხმა არც კი ისმოდა, მაგრამ დროგამოშვებით თითქოს მომაკვდაობიდან კვლავ სიცოცხლეს უბრუნდებაო, უმატებს სულში ჩამწვდომ სისინს და სიტკბოების მალამოდ ეკიდება ყველას.

მოგროვდენ სოფლის გოგო-ბიჭები, ფეხშიშველნი, თმაგაწეწილნი, შარვალჩამოხეულნი და თურაშაულის ვაშლებივით დაწითლებულნი. ზოგ მათგანს ჭრელი კაბა აცვია, ზოგს წუღებიც კი, ეს იმიტომ რომ კვირაა და მზიანი დღე.

თავსაფარიანი დედაკაცები შავად და თალხად ჩაცმულნი, აცრემლებულნი შესცქერიან თავიანთ შვილებს, უკვე დავაჟკაცებულთ, მაგრამ სხვისთვის დავაჟკაცებულთ.

უკრავს დოლი.
უკრავს სალამური.
ვიღაცამ ხმამაღლა დასძახა:

ცან-გა-ლაადა გო-გოო-ნაა
ცან-გალა და გო-გო-ნა...

და მეორეც შევარდა წრეში. მისი ფეხის ცერები ათამაშდა იშვიათი სისწრაფით, მერე მიუახლოვდა რომელიღაც ქალიშვილს და სთხოვს ეცეკვაოს.

ის კი, ქალიშვილი, თეთრ ხილაბანდის ქვეშ, შავი ნაწნავები, რომ ჩამოუყრია, ტუჩებზე ხელებს იფარებს, თავს დაბლა ხრის. ინაზება, მორცხვობს. თექვსმეტი წლისა ამ გაზაფხულზე შესრულდა. დღეს პირველად შედგა მაღალ ქუსლებზე და ღრმად ჩაინერგა დედის სიტყვები, რომ ის უკვე ქალიშვილია, თავის დაჭერა ესაჭიროება. ისიც თავს იჭერს, უარს ეუბნება.

— მიდი ქაა, ეცეკვე, რისა გრცხვენია?.. უწყრება ერთი თავსაფრიანი დედაკაცი, ეს ალბათ ვაჟის დედაა, ალბად ქალი არა ჰყავს...

— ხვალ ომში უნდა წავიდეს და ნუ აწყენინებთ ყმაწვილ ბიჭებს!... გაიძახის ვიღაც და ეს ვიღაც ქალს ხელსა ჰკრავს, წრეში შეაგდებს. მას კი მეტი რა ჩარა აქვს, ცეკვავს, თუმცა გულში უხარია, ეს ყმაწვილი ძლიერ მოსწონს, ეს დათიაა...

და ლხინი გრძელდება.
ლხინი აფთრდება.
ყველა მღერის:

ამოდუღ-დი მარ-გა-ლი-ტო,
ნა-გუ-ბარში ჩა-დექ წყა-ლო,
არც ისე-თიი ლაა-მაა-ზი ხარ,
რა-ღას ინაა-ზე-ბიი ქალოო...

ამ ხმებს ასდევნებია ტაში და ახალისებს მოცეკვავეებს.

ეს დილიდან შუადღემდე. თითქოს ჯარში მიმავალი ახალგაზრდობისათვის უკანასკნელი დღე იყვესო ისე მხიარულობენ. საღამოთი ლხნი ღვინის სმით იცვლება. მიმავალნი ეძლევიან ქეიფს, მწარე დათრობას.

სოფლის სარდაფებში, ქოხებში, და ორღობეებში, ყველგან, ყოველი მხრიდან მთვრალის გინება მოისმის, მთვრალის სიმღერები ვრცელდება.

გონება და ენაბნეული ლოთები, მხრებზე ხელებ გადახვეულნი მოაბოტებენ ფეხებს და არღვევენ ღამის მყუდროებას ხრინწიანი სიმღერებით:

„შენ ჩე-მი თა-ვი მო-გიკვდეს,
სა-ლა-მი და-გი-გვია-ნე"...

ღამის სიბნელეში იბნეოდა და იკარგებოდა უიმედო ძახილი დაგვიანებულ სალამზე.

ასე ქეიფობდენ წასვლის წინ ახალგაზრდები.

ხელისუფლებამ ნება მისცა ჯარში გაწვევამდე სამი დღე ლოთობაში გაეტარებინათ.

— რისთვის?.. რისთვის?..

ალბათ იმისთვის, რომ გონება დაუბნელდეთ, ომში წასვლის აზრი ღვინოში ჩაჰკლან და გაბრუებულნი იგდონ ხელთ.

ალბათ!.. ალბათ!..

## III.

ხელსახოცების ქნევით და ცრემლების ფრქვევით გამოაცილეს ისინი დედებმა, დებმა, მოხუცებმა.

ფრიალებდა ჰაერში თეთრი, ჭრელი, ლურჯი ხილაბანდები და ფრიალთან იკარგებოდენ თვალიდან სოფლის მხნე ბიჭები.

მიდიოდა ყარამანი და მის გონებაში ათასი ფიქრი ტრიალებდა, ლოდივით მძიმე ბოლმა ღრღნდა მის გულს.

მან არ იცოდა სად მიდიოდა.

მან არ იცოდა რისთვის მიდიოდა.

ან და ომში გამარჯვებული რომ დარჩენილიყო, რა უნდა მოეგო მას, ან მის ამხანაგებს?... მასსავით შრომაში დაბეჩავებულ ადამიანებს?.. არც ეს იცოდა დათიამ.

შორდებოდა ჩვეულ ადგილებს: ჭალებს, მდინარეებს, გორაკებს, უჩვილდბოდა გული და ეს განშორების გრძნობები არკვევდა მასში ჩამჯდარ აზრს და ეკითხებოდა თავის თავს:

— სად?!.. რისთვის?!. მაგრამ პასუხს ვერ პოულობდა.

მის გვერდით მიმავალი ამხანაგები გულჩათხრობილ, ქარული სევდით გამსჭვალულ მხიარულებას ეძლეოდენ. ისინი ხარხარით ეკითხებოდენ:

— დათავ, ქვეყნის.. დარდი ხომ არ გაწუხებს?!.

ის კი დუმილით, ჩაფიქრებული თვალებით შეხედავდა მათ და ისევ თავის ფიქრებში ეხვეოდა. ეს იყო მისი პასუხი.

მას მართლაც ქვეყნის დარდი აწუხებდა, იმ ქვეყნის საიდანაც მტარვალთაგან განწირულნი მიდიოდენ კაცთა სასაკლაოზე უჩუმრად, წინააღმდეგობის გაუწევლად, მონებისავით.

ყაზარმაში ფეხი რომ შედგა, ისე მძიმედ იგრძნო თავი, თითქოს რკინის სალტეები გადუჭირესო.

სადღა იყო თავისუფლება. ნებიერი სუნთქვა მაცოცხლებელი ჰაერისა, სითბო საკუთარი ოჯახის კერისა. მისი სიცოცხლის გადაღმა დარჩა მშრომელი ბუნების მშვენიერება.

მწვანე მთები, მდინარეებით ახმაურებული ჭალები, ყურძნით აღვსილი ვენახები და ყვითელი აშრიალებული ყანები. ნაცვლად ამისა რუხი, სქელი კედლები, სიცივითა და სინესტით დამძრალი და დასვრილი დათხუპნული ფანჯრები რკინის გისოსით განმტკიცებული.

მის ამხანაგებს ეგონა რომ სიკეთეში ჩავარდენ. მათ მიიღეს ბრჭყვიალა ფოლაქებიანი პაგონებით შელამაზებული თავდაცვის ფერის ტანსაცმელი და შაშხანა თოფები.

ყოველ განთიადისას უკრავდა ბუკი და მთელი ყაზარმა ფეხზე დგებოდა.

არ ესაჭიროებოდა დათოს ბუკი. ფიქრებით გაწვალებულს ეძინა თვალღია და სოფელში ყანაში წასასვლელად ხომ ყოველთვის ალიონზე დგებოდა?!.

ჩამომწკრივდებოდენ ჯარისკაცები შაშხანებით ხელში და შესძახებდენ მათ ბრაზითა და სიამაყითა ულვაშებაწკეპილი პორუჩიკი:

— На плечо!..

და სრულდებოდა ზახილი მექანიკურად, ერთდროულად.

ძლივს შეისწავლა დათიამ რამდენიმე რუსული სიტყვა. მისთვის თოფი სიმძიმეს არც კი წარმოადგენდა, თითისტარივით ათამაშებდა, მაგრამ სამხედრო ხერხს კი ვერ ითვისებდა.

მოსწონდათ აფიცრებს მისი მხარბეჭი, ძალღონე. ხშირად მისულა აფიცერი მასთან, მხარზე ხელი დაურტყავს და უთქვია:

— Настоящий буйвол но хам ты сукинсын!.. რალაც ბრაზით და წყრომით ეუბნებოდა, ცოტა ხანს გაჩერდებოდა ერთ ადგილს, შემდეგ კი დაუმატებდა: „Ничего, на передовую понадобится", — და ულვაშებზე ხელებს გადისვამდა. განაგრძობდა სწავლებას.

პორუჩიკის აზრით დათია მოწინავე ხაზზე იყო გამოსადეგი, იქ სადაც ცეცხლი და ადამიანის გმინვა ერთმანეთში ირევა და სადაც ნადირივით შეეძლო ებრძოლა, მაგრამ დათია სულ სხვას ფიქრობდა:

— თოფი რათ მინდა?.. რას მარგებს ადამიანების ხოცვა. ვერც კი ვიხმარ გულიანად. მე ჩემი თოხი მომეცით, ჩემი ნამგალი, ყანაში შემიშვით და ნახეთ როგორ მოვიხმარ ჩემ საყვარელ იარაღს, როგორ დავაწვენ წელში გადამტყდარ თავთავებს.



იმპერიალისტურ ომს სამოქალაქო ომად გადავაქცევთ

მაგრამ დათიას სახლში ვინ გაუშვებდა. რაც დრო გადიოდა უფრო მძლავრად სჭიდებდენ ხელს და გადაგვარების გზაზე აყენებდენ, აღვიძებდენ მასში უმოწყალო მხეცს, მებრძოლს.



ჟ ო რ ე ს ი უკანასკნელ მიტინგზე სადაც გაილაშქრა იმპერიალისტურ ომის წინაალმდეგ.

არც სწავლას აკლებდენ მათ. უხსნიდენ აფიცრები თუ რისთვის იბრძოლებენ და რა უნდა მოეპოვებინათ მათ.

— А, ну ка, Петров, за что мы боримся?..

— За Веру, Царя и Отечество, Ваше Благородие!..

უპასუხებდა ბერკეტივით სწორი და გაშეშებული ჯარისკაცი უფროსის შეკითხვაზე.

ამას დათიასაც ამეორებინებდენ და მერე კი, როდესაც დათია მარტო რჩებოდა ეკითხებოდა თავის თავს:

— რათ უნდა ღმერთს კაცის კვლა, ან მეფეს, ან სამშობლოს რისთვის სჭირდება ეს. ამ ფიქრში ჩნდებოდა დათიასათვის ახალ-ახალი სამყაროები, რომელიც დღემდე ბურუსით იყო მოცული.

— არა, მე რაღაც არ მესმის ეს ქვეყანა!.. გაიძახოდა გულში.

მწარე ფიქრად აეკვიატა ეს საკითხი და არ შორდებოდა არც ძილის, და არც მეცადინეობის დროს.

დღეები მიდიოდა.

მის გონებაში ძვირფას, სანატრელ სურათებად იშლებოდა მშობელი კუთხის სილაღითა და სილამაზით სავსე მწვანე ტყეები, ლურჯი ცის თაღით და ბროლივით სუფთა ქაფურა ნაკადულები.

(დასარული იქნება).

ელიზბარ პოლუმორდვინოვი.

# ОПАСНОСТЬ ВОЙНЫ И МОПР

Каждому трудящемуся вполне достаточно даже бегло ознакомиться с цифрами растущих вооружений в капиталистических странах, чтоб убедиться в том, что миру вновь грозит военная буря, что над трудящимся человечеством вновь нависла реальная угроза новой, невиданной войны. В самом деле—не искусства же ради военного, не для „игры в солдатики" создаются огромные сухопутные армии, строятся мощные морские и воздушные военные флоты, тратятся на это бешеные средства, выколачиваемые трудом рабочего класса.

О росте вооружений говорят следующие—напр., данные: общая численность армий мирного-времени по таким государствам, как—Франция, Англия, Америка, Япония, Италия, Польша, Румыния, Финляндия, Эстония, Латвия и Литва—возросла с 2.319.000 чел. в 1913 г., до 2.648.000 в 1928 г.; количество военных самолетов с 1924 г. по 1929 г. увеличилось—в Англии с 385 до 900, в Америке 1 320 до 1.220, в Италии с 250 до 850, в Румынии с 180 до 280, в Польше с 160 до 300 и т. д. Общий тоннаж военно-морских судов за время с 1914 г. по 1929 г. вырос—в САСШ с 125.620 тонн до 1.463.048; в Японии с 591.959 тонн до 746.474 тонн и т. д.

Количественными „достижениями" не ограничивается, однако, картина роста вооружений. Наряду с количественным их ростом улучшается и их качество: вводятся усовершенствованные пулеметы и пушки, артиллерия переводится на механическую тягу и т. д. Наконец, нельзя забывать, что характер будущей войны резко изменяется в связи с предстоящим широким применением химических средств борьбы. Здесь, также как и в других областях военной подготовки, буржуазия не жалеет средств. Один САСШ тратят на военную химию около двух с половиной миллионов рублей ежегодно.

Бесспорно, что все эти приготовления, эта бешенная скачка вооружений имеет целью возможно успешнее провести в будущем вооруженную борьбу с внешним или внутренным врагом. С последним, т. е. с революционными трудящимися борьба эта „современными, усовершенствованными" средствами уже проводится и сейчас например „выкуривание" отравляющими газами революционеров из осажденных полицией домов, обстрел с воздуха восставших рабов колоний.

Заправилы капиталистического мира не могут и не будут ждать пока залечатся раны прошлой войны

Они, с энергией достойной лучшаго применения, готовятся к новой всемирной резне.

Эта подготовка вызывается ростом противоречий внутри капиталистических стран, между различными группами капиталистических государств. Кроме того, усиление вооружений,—вызвано ненавистью капиталистического мира к СССР, как к социалистическому отечеству трудящихся всего мира, как к базе мировой пролетарской революции, своим политическим и экономическим строем клином врезавшемуся в капиталистическую систему.

Характерно, однако, что подготовка к будущей войне идет под аккомпанимент трескучих речей о „мире во всем мире", о разоружении и т. д. Бешенные, непрерывные вооружения прикрываются бесконечными, бесплодными заседаниями международной „говорильни"—Лигии Наций, миролюбивыми декларациями, вроде пакта Келлога. Вся эта словесная, лживая шумиха станет понятной, если вспомнить слова Бисмарка о том, „что больше всего врут после охоты и перед войной".

Весь аппарат капиталистической машины сейчас пущен в ход для того, чтобы обманным способом втянуть трудящихся в новую бойню. Но опыт полученный трудящимися в 14—18 г. г. не прошел для них даром. Ужасы этих лет незабываемы. Отношение свое к такого рода „методам" разрешения „межгосударственных споров" пролетариат и угнетенные трудящиеся всего мира выявили в целом ряде революций, последовавших в процессе войны и непосредственно за воиной.

Лучшим ответом на империалистическую бойню была пролетарская революция в России, которая создала реальную базу для последующей борьбы против новой войны, которая помимо этого, дала толчек пролетариату других стран к организации активной борьбы с военной опасностью.

Руководитель революционной борьбы во всем мире—Коммунистический Интернационал — в течение уже десятилетия постоянно заостряет внимание трудящихся на опасности войны, постоянно через свои секции разоблачает военные замыслы капиталистов, постоянно вскрывает предательскую роль в этом деле вождей социал-демократии.

Усилиями компартии внимание трудящихся всего мира ныне мобилизовано на вопросах военной опасности, с каждым днем становящейся все более ощутительной, доказательством чего могут служить наскоки китайских милитаристов на КВЖД. Эти усилия привели к тому, что огромные массы пролетариев в дни 1 го мая и 1-го августа в текущем году, как никогда, организованно и активно выступили против империалистической войны, против растущих вооружений и кровью запечатлели свою ненависть к грабительской природе капитализма и предательству социал-империалистов.

В борьбе с военной опасностью компартии в странах капитала не одиноки. Ряд общественных организаций, об'единяющих честных трудящихся, ненавидящих капитализм, сознающих неизбежность гибели его и необходимость борьбы с ним—также мобилизуют свои силы на борьбу с военной опасностью.

К числу таких организаций следует отнести и МОПР. Международная Организация помощи Борцам Революции должна стоять в первых рядах борцов с империалистической войной, несущей с собой небывалое усиление белого террора, резкое ухудшение положения трудящихся во всем мире, гибель новых десятков миллионов солдат, вчерашних рабочих и крестьян.

